# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 3 დეკემბერი 2005 №278 (2601) ფასი 50 თეთრი

# ახალკაცი — ტოპმიოლერი: პირდაპირი





## მარცვალაძე კიევის დინამოშია



თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ 21 წლის თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე უკვე ორი დღეა, კიევშია და იქაურ „დინამოში“ ვარჯიშობს.

ამ ამბის შესახებ „ვიტ ჯორჯიასაც“ დავეკითხეთ, მაგრამ კლუბმა ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავა.

როგორც შევიტყვეთ, მარცვალაძე ყოველგვარი შუამავლების გარეშე ჩავიდა კიევში, რადგან ის ოფიციალურად თვითონ „დინამომ“ მიიწვია. შეიძლება ითქვას, მარცვალაძე კიევის „დინამოში“ გასინჯვაზეა, მაგრამ ძალიან კარგი შანსი აქვს, უკრაინის უტიტულოვანეს კლუბში ჩაირიცხოს.

**დავით თავართქილაძე**

## გენერალი უთვალავია, პაიჭაძე — ერთი



ინტერვიუ ბორის პაიჭაძის შვილთან, რამაზთან იხილეთ მეხუთე გვერდზე



**ბაირამ თუთუმლუ: კატანეცს ტყუილად არ ჩამოიყვან**

2



**მილანი კალაძეში ძებინას ეძებს?**

2



**თერთმეტი ტოპ-კადრი**

კლაუს ტოპმიოლერის ბიო-ფოტო-გრაფია

4

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა XV ტური**

ბრაუნშვაიგი 1:0 კარლსრუე
ფიურტი 2:0 ალენი
ზიგენი 2:2 ალემანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIX ტური**

ზანკტ პაული 4:2 ვერდერი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა XVII ტური**

ლაუტერნი (მ) 1:2 ჰოფენჰაიმი
აალენი 2:0 დარმშტადტი

## შვეიცარია

**სუპერლიგა. XVII ტური**

თუნი 1:1 იანგ ბოისი

**ჩელენჯლიგა. XVII ტური**

ბადენი 1:0 კონკორდია

## იტალია

**სერია B. XVIII ტური**

ტერნანა 2:1 რიმინი

**სერია C1/B. XIV ტური**

პერუჯა 1:0 ნაპოლი

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი XVIII ტური**

ამიენი 1:1 ლორიანი
ბრესტი 3:1 გრენობლი
შატორუ 1:1 კაენი
კრეტეი 1:2 დიჟონი
გენგამი 3:1 კლერმონი
ლავალი 2:0 სეტე
მონპელიე 3:1 გენიონი
რეიმსი 0:0 ისტრი

## ბელგია

**იუპილერლიგა. XVI ტური**

ანდერლეხტი 3:0 გენტი

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი. XIV ტური**

ჰერაკლესი 0:1 როდა

**მეორე დივიზიონი XXI ტური**

კამბური 1:1 ვენლო
გრააფსხაპი 3:1 ვოლენდამი
ემენი 2:0 ტელსტარი
ალმერე 1:1 ექსელსიორი
ზვოლე 2:1 ეინდჰოვენი
სიტარდი 2:3 აპელდორნი
ჰაარლემი 4:1 ვეენდამი
ჰელმონდი 3:1 იგლსი
მაასტრიხტი 2:1 დორდრეხტი

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XIII ტური**

პორტუ 1:1 სპორტინგი

## თურქეთი

**სუპერლიგა. XV ტური**

ფენერბაჰჩე 2:2 ტრაბზონი

## პოლონეთი

**პირველი ლიგა. XVI ტური**

პოლონია 2:1 ლეხი
ამიკა 2:0 გროცლინი

## ინგლისი

**ასოციაციის თასი მეორე ეტაპი**

მენსფილდი 3:0 გრეისი
პორტ ვეილი 1:1 როვერსი

## ამხანაგური მატჩი

საამიროები 1:1 ლიბია


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80


# ბაირამ თუთუმლუ: კატანეცი ტყუილად ჩამოვიყვანო, ეგრე სად არის?!



*გუშინ თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატს, სლოვენიელ სრეჩკო კატანეცს ლიუბლიანაში შეხვდა და ბაირამ ბეისაც სლოვენიის დედაქალაქში ამად შევეხმიანეთ...*

— კატანეცს უკვე ვესაუბრე, ის დაინტერესდა ყველაფრით, რა ქვეყანაა საქართველო, როგორი გუნდი იყო საქართველოს ნაკრები ბოლო პერიოდში. მე კატანეცის მენეჯერი ვარ და, თუ თქვენი ფედერაცია მას ისურვებს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად, შემიძლია, ის თბილისში ჩამოვიყვანო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

— დაბრკოლებაში ფინანსური მხარე უნდა ვიგულისხმოთ?

— მთავარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სურვილი და დანარჩენს მე მოვაგვარებ.

— თვითონ კატანეცის სურვილი როგორია?

— კატანეცის სურვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, კატანეცი კარგად იცნობს გამორჩეულ ქართველ ფეხბურთელებს — კალაძეს, კობიაშვილს, არველაძეს — საქართველოს ასეთი ფეხბურთელები ჰყავს და მიკვირს, უკეთესი შედეგი რატომ არ აქვსო, მითხრა კატანეცმა. ფეხბურთელების გარდა მას ისიც აინტერესებს, თუ რა ორგანიზაციული დონეა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, კატანეცი 15 დეკემბრისთვის ჩამოვა საქართველოშიო...

— მე, როგორც კატანეცის აგენტმა, მისი საქართველოში ვიზიტის თარიღი ჯერ არ ვიცი, რადგან მანამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ მართლა უნდა ნაკრების მწვრთნელად კატანეცი.

**დავით თავართქილაძე**



ჯონათან ძებინამ და კახა კალაძემ შესაძლოა, მაისურები გაცვალონ

# მილანი კალაძეში ძებინას ეძებს?

**სადაცაა**, ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება და... თუმც უკვე დაიწყო — ერთ-ერთი იტალიური ვებგვერდი წერს, რომ დიდი შანსია, „მილანის“ ქართველი მცველი კახა კალაძე ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდეს. მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მილანელებს სურთ, კალაძე ფრანგ ჯონათან ძებინაში გაცვალონ, რომელშიც ბრაზილიელ ვეტერან კაფუს შემცვლელს ხედავენ.

იტალიელ ჟურნალისტთა თქმით, კალაძემ, რომელიც სეზონის წინ ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მისთვისაც უმჯობესი უნდა იყოს „იუვეში“ გადასვლა.

ვერ გეტყვით, ამ საქმიდან რა გამოვა, თუმცა ფაქტია — ხმები უკვე დაირხა...

**კახა ზალამბერიძე**

# მე თქვენი მეგობარი არ ვარ

## ლიტველებმა მოსკოვში ქართველები გაუშვეს

**„თანამეგობრობის თასის“** ისედაც შელახული პრესტიჟი კიდევ უფრო ილახება და მორიგი წიხლის დამჭერი ლიტვის ჩემპიონი „ეკრანასი“ გამოდგა. ლიტველთა თავკაც ვირგინიუს ლიუბშისის განმარტებით, ტურნირის ჩატარების ვადები მისი გუნდის სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებას ემთხვევა და ამიტომაცაა, „ეკრანასმა“ მოსკოვში ჩასვლა რომ იუარა.

ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი კი იტყობინება, რომ „ეკრანასის“ ნაცვლად „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი „კაუნასი“, რომელშიც ჩვენებურები — ნუკრი მანჩხავა და გივი კვარაცხელია ირიცხებიან.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი 2006 წლის 14 იანვარს იწყება და ამ დღეს ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და მოსკოვის ცსკა შეერკინებიან.

**კახა ზალამბერიძე**



ნოდარ ახალკაცი და დიმიტრი რამიშვილი პროფლიგის ოფისის გახსნისას



მეოხედფინალისტები გრიგოლ ცაავამ დააწყვილა

# ლოტოტრონი ცაავამ დაცალა

## სწორედ თასზე, მეოთხედფინალი მოდის!

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გუშინ თავისი ახალი ოფისი შამპანურით დალოცა, ასევე შამპანურით მოგვილოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და მერე საქმეზეც გადავიდა — დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა გამართა.

ბურთულები „ლოტოტრონში“ პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნოდარ კაკულიამ და გენმდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ მოათავსეს, წყვილების სვე-ბედი კი ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა გრიგოლ ცაავამ გადაწყვიტა — მისი ამოღებული ბურთულებით მეოთხედფინალში ასეთი შერკინებები იქნება:

**ამერი** (თბილისი) — **კოლხეთი** (ფოთი)
**ვიტ ჯორჯია** (თბილისი) — **ლოკომოტივი** (თბილისი)
**სიონი** (ბოლნისი) — **ბორჯომი**
**ზესტაფონი** — **დინამო** (თბილისი)

*პირველი მატჩები 18 თებერვალს გაიმართება, საპასუხოები — 8 მარტს. შეხვედრები 14 საათზე დაიწყება.*

წილისყრის შემდეგ ითქვა, ყველაზე უფრო „ამერს“ გაუმართლა, ხოლო ყველაზე ძლიერი წყვილი „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივიაო“. ისე, არც „ზესტაფონი“ — „დინამო“ უნდა დავივიწყოთ, რადგან თასის წინა გათამაშების მერვედფინალში სწორედ ფეროელებმა მოუთავეს საქმე „დინამოს“. რაც შეეხება „სიონი“ — „ბორჯომის“ წყვილს, ამ გუნდთა სამომავლო ავანჩავანი გაურკვეველია — ამბობენ, „სიონსაც“ და „ბორჯომსაც“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დატოვებსო.

კიდევ: გუშინდელ ღონისძიებას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც დაესწრო.

**დავით თავართქილაძე**

# ახალკაცი ტოპმიოლერზე: ოპტიმიზმი და კეთილგანწყობა

***საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინ საღამოს მოულოდნელად პრესკონფერენცია გამართა და ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კანდიდატ კლაუს ტოპმიოლერთან მოლაპარაკების ახალი დეტალები გაგვაცნო...***

— კლაუს ტოპმიოლერი თბილისში მეუღლესთან ერთად ფრანკფურტიდან 11 დეკემბერს ჩამოფრინდება. მისთვის და მისი მეუღლისთვის ბილეთები და სასტუმრო უკვე დაჯავშნულია, ის „მარიოტში" დაბინავდება და 13 დეკემბრამდე დარჩება — თქვა ნოდარ ახალკაცმა და განაგრძო — კლაუს ტოპმიოლერს დღეს თავად ვესაუბრე და ერთხელაც დავუდასტურე ჩვენი მზადყოფნა მის სამასპინძლოდ. თავის მხრივ ისიც მოუთმენლად ელის საქართველოში ჩამოსვლას.

— კლაუს ტოპმიოლერი მოხარულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და მას შორის პირდაპირი კონტაქტი შედგა. საუბრისას აღნიშნა, რომ აგენტი ცხოვრებაში არ ჰყოლია და ყველანაირ მოლაპარაკებას ის ყოველთვის თავად აწარმოებს. ეს ჩვენთვისაც მისაღებია, რადგან საქმეში აგენტის მონაწილეობა საკომისიო თანხების გადახდასთანაა დაკავშირებული. ჩვენ კი გვიჯობს, ეს თანხები ნაკრების ტექნიკური ცენტრის კეთილმოწყობასა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოვახმაროთ.

— თბილისში ტოპმიოლერი ეროვნულ, „ლოკომოტივის" სტადიონებს და ტექნიკურ ცენტრს დაათვალიერებს, სხვა საფეხბურთო ინფრასტრუქტურასაც გაეცნობა. ვეცდებით, რომ ტოპმიოლერის საქართველოში ვიზიტი მაქსიმალურად მრავალფეროვანი იყოს და შინ მაქსიმალურად დადებითი შთაბეჭდილებებით დაბრუნდეს. იქნება კულტურული მხარეც — მცხეთა, მუზეუმები...

— ფინანსურ საკითხებზე ჯერ არ გვისაუბრია, თავადაც არაფერი უთქვამს. თბილისში როცა ჩამოვა, ბევრი რამ გაირკვევა.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრამდე ან კენჭისყრის შემდეგ კონტრაქტის გაფორმებაზე არც გვისაუბრია. მიმაჩნია, რომ მოლაპარაკებაზე კენჭისყრის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება.

— დღევანდელი საუბრისას კლაუს ტოპმიოლერს არ უთქვამს, რომ აგენტები ჰყავს. პირიქით, ერთხელაც ვამბობ, ტოპმიოლერი მოხარულია, ფედერაციას მასთან პირდაპირი კავშირი რომ აქვს.

— თბილისში სლოვენიელი სრეჩკო კატანეცის ჩამოსვლის ალბათობა დიდია. კატანეცის ვიზიტი ტოპმიოლერის ჩამოსვლაზე დამოკიდებული არ არის. გვსურს, საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღოთ.

— საერთოდ, გერმანიაში ნაკრების მწვრთნელობა ძალიან პრესტიჟულია და უცხოური ნაკრებების გერმანელ თავკაცებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. ტოპმიოლერს უკვე დაუკავშირდნენ გერმანელი ჟურნალისტები და საქართველოში შესაძლო სამსახურზე ჰკითხეს. ოპტიმიზმი, კეთილგანწყობა, საქმის კეთების სურვილი — აი, რა შთაბეჭდილება დამრჩა ტოპმიოლერთან საუბრის შემდეგ.

— ტოპმიოლერი თბილისში მეუღლესთან ერთად მოდის. ყოველ შემთხვევაში, ორი ბილეთის დაჯავშნა ითხოვა და არ უთქვამს, სხვა თანმხლებიც თუ ეყოლება.

— გაიოზ დარსაძე კვიპროსზეა, სადაც უეფას ახალგაზრდული ფეხბურთის კონფერენციას ესწრება. ის, როგორც ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, კვიპროსზე სხვა საკითხებზეც მუშაობს, შესაძლოა, ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაც მოახერხოს.

**ბონა ინასარიძე**



*პრეზიდენტი ჟურნალისტი, მენეჯერი ჟურნალისტი, ადმინისტრატორი ჟურნალისტი, პრესსამსახურის უფროსი ჟურნალისტი — თბილისის „ამერს" ერთი ფეხბურთელი ჟურნალისტი არ ჰყავს, თორემ მთლად კოლეგების გუნდი იქნებოდა. პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერიაა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობის ოთხწლიანი გამოცდილებითა და ჟურნალისტის დიდი სტაჟით... დღეს მისი, როგორც პრეზიდენტ-რესპონდენტის დებიუტია. თემა „ამერი" და, ზოგადად, საფეხბურთო საკითხები იყო...*



# წრე ორ კვირაში შეიკვრება
## თანადგომა ერთ ადგილზე დგომას არ ნიშნავს

**— „ამერი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტია და ჩემპიონატის პირველი წრე მეექვსე ადგილზე დაამთავრა. შედეგით კმაყოფილი ხართ? ის მიიღეთ, რასაც ელოდით?**

— არა, ის არ მიმიღია, რასაც ველოდი. თუმც მთლად უკმაყოფილოც არ ვარ. მიმაჩნია, რომ „ამერმა" შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინა.

**— რას გულისხმობთ?**

— ზოგადად შედეგს, თამაშის ხარისხს, განწყობას... კმაყოფილი როგორ ვიქნები, როცა გუნდმა თასის მეთექვსმეტედფინალში შინ აგარის „მეშაქრესთან" წააგო?! ეს ამბიცია არ არის, ეს ჩემი პოზიციაა, ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ, თუმც ჩვენ უსაფუძვლო ამბიცია არ გვაქვს და დასახული მიზნისკენ მივდივართ. მიზანი კი იგივეა, რაც ჩემპიონატის დაწყებამდე გვქონდა — ევროსაგზური.

**— პირველ წრეში რა გქონდათ დაგეგმილი?**

— ჩემპიონატის დაწყებამდე პირველი წრის შედეგი არ დაგვიკონკრეტებია. მაქსიმალისტები ვართ და ვიქნებით, „ამერი" ყოველთვის, ყველა მეტოქესთან მოსაგებად თამაშობს. სხვა საქმეა, რა გამოგვდის. სეზონის წინ ჩვენ ამოცანად ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვება დავისახეთ. თუ ჩემპიონები გავხდებით და ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშებთ, გაგვიხარდება, თუ უეფას თასზე გავალთ, კმაყოფილები ვიქნებით; თუ ვერც ერთი შევძელით, ამას წარუმატებლობად ჩავთვლით.

**— პირველი წრის შემდეგ როგორ ფიქრობთ, გაამართლა 16-გუნდიანმა ჩემპიონატმა?**

— გაამართლა თუ არა, ეს ახლა ძნელი სათქმელია. თავად კი მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება მაქვს — 16-გუნდიანი ჩემპიონატის მომხრე ვარ. სხვა საქმეა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რამდენად იძლევა ჩემპიონატის ასეთი სტრუქტურით ჩატარების საშუალებას. ისე კი, ცხრილის ზედა შვიდ გუნდს ერთმანეთში საკმაოდ დიდი კონკურენცია აქვს, ხუთნი ლიგაში დასარჩენად იბრძვიან და შუაში მყოფი ოთხეულიც ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. წლეულს უმაღლეს ლიგაში ბევრი კარგი მატჩი იყო.

**— შარშან არ იყო ბევრი კარგი მატჩი?**

— თავისი პლუს-მინუსები 16-გუნდიან ჩემპიონატსაც აქვს და 10-გუნდიანსაც. 16-გუნდიანმა ჩემპიონატმა გაამართლა თუ არა, ამის თქმა ახლა ნაადრევია, ჯერ ერთი წრეა ჩატარებული.

**— მეორე წრისთვის „ამერი" რას აპირებს?**

— სატრანსფერო პერიოდის აქტიურად გამოყენებას. რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, რამდენიმესაც, ალბათ, შევეელევით.

**— გვარებს ვერ გვეტყვით, ვის დამატებას და გაშვებას აპირებთ?**

— ჯერ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიგვიღია. დაახლოებით ორ კვირაში გაირკვევა ეს საკითხები.

**— კეთილი. ახლა ფედერაციის აღმასკომის საქმეებზე ვისაუბროთ. ფედერაციის ყოფილმა გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დასწრება ითხოვა და შესაბამისი წერილით მიმართა აღმასკომის წევრებს...**

— დიახ, მივიღე ვალერი ჩოლარიას წერილი. რა პრობლემაა, დაესწროს აღმასკომს, მომხრე ვარ, მოვუსმინოთ.

**— კულუარებში ითქვა, რომ აღმასკომზე ჩოლარიას გამოსვლას, შესაძლოა, დიდი ამბები მოჰყვეს და ამიტომაც ზოგიერთი თქვენი აღმასკომელი კოლეგა ჩოლარიას თხოვნაზე უარს ეუბნება...**

— არ ვიცი, კულუარებში რას ამბობენ. მიმაჩნია, რომ აღმასკომზე სწორედ აქტუალურ საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ. პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ვალერი ჩოლარიას თუ სხვას, აღმასკომზე მოვუსმინოთ.

**— კიდევ ერთი კითხვა აღმასკომთან დაკავშირებით, რომლის პასუხიც ძალიან ბევრს აინტერესებს: საქართველოს ნაკრების მწვრთნელად გაიოზ დარსაძის დანიშვნას მხარი რატომ დაუჭირეთ?**

— გაიოზ დარსაძეს ვინმე თუ იცნობს, მათ შორის მეც ვარ და მასზე საკუთარი აზრი მაქვს. აღმასკომის მაშინდელ სხდომამდე კი ნოდარ ახალკაცი დამიკავშირდა და თავისი გეგმა გამაცნო. პრეზიდენტს გულწრფელად გავაცანი ჩემი შეხედულება გაიოზ დარსაძეზე, როგორც მწვრთნელზე. ახალკაცს ვუთხარი, რომ ხმას მივცემდი მის არჩევანს — ასე ვთქვათ, ფედერაციის ახალარჩეულ პრეზიდენტს ჩემს თანადგომას დავუფიქსირებდი. მაშინ ფედერაციის პრეზიდენტი ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდა და ეს ნაბიჯიც იმიტომ გადავდგი, რომ ახალკაცს საკუთარი იდეის ხორცშესხმის საშუალება ჰქონოდა. ამიტომაც გამოვუცხადე მას თანადგომა. თუმცა საქართველოს ნაკრებზე ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ ვიხსნი.

**— აღმასკომს მალე ნაკრებისთვის ახალი მწვრთნელის დამტკიცება მოუწევს. ჯერჯერობით ორი გამოკვეთილი კანდიდატია — კლაუს ტოპმიოლერი და სრეჩკო კატანეცი. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თქვენი ხმა ვისკენ იქნება?**

— ტოპმიოლერმა „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, კატანეცმა სლოვენიის ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ათამაშა. გააჩნია, მწვრთნელი რა კრიტერიუმებით უნდა დავნიშნოთ. მხოლოდ მიღწეული შედეგით? მაშინ ისეთ მწვრთნელებს გეტყვით, ტოპმიოლერზე და კატანეცზე უკეთესი შედეგები რომ აქვთ. მთლიანობაში ინფორმაცია არც ტოპმიოლერზე მაქვს, არც — კატანეცზე, ამიტომაც ხმის მიცემისგან დღეს თავს შევიკავებდი.

**— ინფორმაცია საიდან უნდა მიიღოთ?**

— აღმასკომი თუ იკრიბება, მის წევრებს ყველა განსახილველ საკითხზე დეტალური ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეთ. საკუთარი აზრიც ამის შემდეგ ჩამომიყალიბდება და პოზიციასაც დავაფიქსირებ.

**ბონა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 11 ტოპ-კადრი



რამდენიმე კვირის წინ საქართველოში არავინ ლაპარაკობდა არც კლაუს ტოპმიოლერზე და არც სხვა განთქმულ მწვრთნელზე. მაშინ სალაპარაკო სხვა გვქონდა...

დღეს კი ჩვენში ტოპ-ბუმია.

დღეს ვერავინ იტყვის, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების მომდევნო მწვრთნელი, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერს მალიმალ ვახსენებთ და...

გახდება თუ არა ტოპმიოლერი ჩვენი ნაკრების თავკაცი, მისი ბიო-ფოტო-გრაფიის გაცნობა არაფერს გვავნებს...




**კლაუს** ტოპმიოლერმა კლასიკური გზა გაიარა ფეხბურთელობიდან მწვრთნელობამდე. 70-იან წლებში ის გახლდათ „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელი — გამორჩეულთაგანი გერმანიის ჩემპიონატში და სამი თამაში ბუნდესნაკრებშიც ჩაუტარებია.




1979 **წელს** კლაუს ტოპმიოლერი მუხლის ტრავმით საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. საუბედუროდ, ტრავმა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მას ფეხბურთელის კარიერა უმაღლეს დონეზე აღარ გააგრძელებინა.




**ეს ფოტო** კი 1993 წელსაა გადაღებული, როცა ტოპმიოლერი ფრანკფურტის „აინტრახტში“ მივიდა. ეს ტოპმიოლერის პირველი ბუნდესლიგური კლუბი იყო, იქამდე კი, 1987 წლიდან, დაბალლიგელებს ავარჯიშებდა.




**პირველ** წარმატებას ტოპმიოლერმა „ბოხუმში“ მუშაობისას მიაღწია — ჩამოქვეითებული გუნდი ჯერ ბუნდესლიგაში დააბრუნა და მერე უეფას თასის მერვედფინალშიც გაიყვანა.




**ორი** წლის მერე იყო „ლევერკუზენი“, საიდანაც იმხანად კრისტოფ დაუმი გაუშვეს. 2001 წლის 21 მაისს რაინერ კალმუნდმა და კლაუს ტოპმიოლერმა ხელი ხელს დაჰკრეს.







**ეს კი** უცნობილესი ფოტოებია ჰერ კლაუსის ბიოგრაფიიდან. მისი „ლევერკუზენის“ ბრწყინვალე სვლა ჩემპიონთა ლიგის თასისკენ ბოლო წამს დიდი იმედგაცრუებით დასრულდა.




**თუმცა** ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა იმდენად დიდი მოვლენა იყო მოკრძალებული კლუბისთვის, რომ კლაუს ტოპმიოლერი 2001-02 წლების სეზონის საუკეთესო ბუნდესლიგელ მწვრთნელად დაასახელეს.




**დასასრული** კი ყველაფერს აქვს. „ლევერკუზენი“ დიდების ზენიტში დიდხანს ვერ გაჩერდა და მწვრთნელს გაეყარა.




**ცოტა** ხანი „ჰამბურგში“ და...




...ჰერ კლაუსი ახალ გუნდს ელის...

## თბილისის დინამო 80 წლისაა

# დინამო იყო...

ამბობენ, თბილისის „დინამო" ხალხს იმიტომ უყვარდა, რომ საქართველოს ნაკრები იყოო. ალბათ, მართალია. მაშინ ნაკრები, აბა, როგორ გვეყოლებოდა და „დინამოს" თამაშები შინაარსით ძალიან ჰგავდა სანაკრებოს. ყოველ წელიწადს, გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, მრავალი საქართველო — რუსეთის მოწმენი ვხდებოდით, უბრალოდ, რუსეთს ჰქონდა სხვადასხვა სახე. იყო დაახლოებით ათი (ხუთი შინ და ხუთიც სტუმრად) საქართველო — უკრაინა, იყო საქართველო — სომხეთი, საქართველო — აზერბაიჯანი, საქართველო — ყაზახეთი... ძალიან თავისებური და ჩამთრევი იყო ეს ყველაფერი. გადაუჭარბებლად ვამბობთ, ხალხი ტურიდან ტურამდე ცხოვრობდა, მაგრამ... არა, ნაკრები მაინც ნაკრებია. „დინამო" მთლად ნაკრებიც არ ყოფილა. დინამოელები ცოტა ხნით არ იკრიბებოდნენ და მერე თავიანთ გუნდებში არ მიდიოდნენ, სულ აქ იყვნენ, დიღომში, რომლის ღობიდანაც ვარჯიშებს პატარა ბიჭები უჭვრიტინებდნენ და მერე სკოლებში ყვებოდნენ: გუშინ მესხმა იცი რა ქნა? გუშინ ყიფიანმა იცი რა ქნა? გუშინ იცი?... გუშინ... გუშინ... გუშინ... და თვალებგაფართოებულები უამბობდნენ ერთმანეთს მეტწილად სრულიად ჩვეულებრივ რაღაცებს — ვიღაცა ვიღაცას ხუმრობით ზურგზე შემოახტა, მანქანა ხემდე „ზადნით" შეიყვანა, მაგარი ჯინსი ეცვა და ასე დაუსრულებლად.

ნაკრები იყო და არც იყო. კლუბი ნაკრები იყო, თუმცა ეგეც არა. ფეხბურთი რომ იყო, ფეხბურთიც აღარ იყო. მთელი ცხოვრება იყოო, როგორ ვთქვა, მაგრამ მთელი ცხოვრებაც იყო...

აი, ერთხელ ასეთ რამეს შევესწარი: ყოველი ტურის წინა დღეს დუბლები ხომ თამაშობდნენ და, დგანან დუბლების თამაშის შემდეგ „დინამოს" გასახდელის შესასვლელთან შენგელია, თუ არ ვცდები, გაბელია და სულაქველიძე. ის პერიოდია, ბიჭების ქოშები რომ შემოვიდა მოდაში და შენგელიას აცვია მაგარი. დგანან, რაღაცას ლაპარაკობენ. მე და ჩემი მეგობრებიც შორიახლოს ვდგავართ, ვუყურებთ, სანახაობა არ გვეთმობა. უცებ, ვხედავ, ვიღაც ბიჭი სულაქველიძეს ზურგიდან მიუახლოვდა, მივიდა, მივიდა და... თითი მიადო. სულაქველიძეს არც გაუგია, ეტყობა, ძალიან ნელა და მორიდებით მიადო თითი. მიადო და უბედნიერესი სახით გამოტრიალდა...

**პაპუნა ძიძია**

ბორის პაიჭაძე საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი იყოო, რომ ვთქვათ, ეს იგივეა, არაფერი ვთქვათ. დავუკვირდეთ, რა არის ცხოვრება: ადამიანთა ერთი პატარა ჯგუფი თუ ტაშს გიკრავდა, იტყვიან, ბედნიერად იცხოვრა და ბედნიერად წავიდა ამ ქვეყნიდანო. ბორის პაიჭაძემ კი... მხოლოდ ტაში რა მოსატანია, მან ეპოქა შექმნა ქართულ ფეხბურთში, იგი იყო „დინამოს" პირველი თაობის უდიდესი ფეხბურთელი, ხალხი მის სანახავად სტადიონს პირთამდე ავსებდა, მისი ოქროს ფეხის ამბავი იმ დროს მკაცრად შეზღუდული საბჭოეთის საზღვრებს სცდებოდა.

თბილისის „დინამო" 80 წლისაა, ბორის პაიჭაძე კი 90 წლის გახდებოდა... რამდენია გასახსენებელი და, აბა, ფეხბურთის კარუზოს შვილზე, რამაზ პაიჭაძეზე კარგად ვინ გაიხსენებს...



# ბერმუხას ცხოვრება

## გენერალი უთვალავია, პაიჭაძე — ერთი

— თბილისის „დინამო" 1925 წელს დაარსდა, 1935-იდან კი მისი ნამდვილი ისტორია დაიწყო. მაშინ „დინამოს" უფროსი, ასე ვთქვათ, პატრონი, ლავრენტი ბერია გახლდათ. კლუბი ბერიას უწყებას მიეკუთვნებოდა და არაფერი უჭირდა.

... „დინამო" საბჭოთა კავშირის ა კლასში (მაშინ ასე ერქვა უმაღლეს ლიგას) 1936 წლის შემოდგომის ჩემპიონატისთვის გადავიდა. მამა წინა წელს ფოთიდან გადაიყვანეს გუნდში. საერთოდაც, იმდროინდელ „დინამოში" ბევრი ფოთელი მოგროვდა — დიდებული თაობა იყო.

— „დინამო" პირველივე წელს მეორე ადგილზე გავიდა ჩემპიონატში, 1937 წელს თბილისში ბასკეთის უძლიერესი ნაკრები ჩამოვიდა, შემდეგ წლებში კი „დინამოს" ირანსა და რუმინეთში ჰქონდა ტურნეები, სადაც ბრწყინვალე თამაში აჩვენა, ბორის პაიჭაძეს კი „ფეხბურთის კარუზო" შეარქვეს. როგორ იხსენებდა მამათქვენი იმ პერიოდს?

— ბასკები რომ ჩამოვიდნენ, სტადიონისკენ მიმავალ გზაზე თურმე ნემსი არ ჩავარდებოდა, ისეთი ამბავი იყო. მათ ლანგარა, სილაურენი და სხვა ბევრი დიდი მოთამაშე ჰყავდათ. „დინამოს" რუმინეთსა და ირანში გასვლა კი ფურორი იყო, მამას იმ დროს უკვე დიდი სახელი ჰქონდა, თუმც საბჭოეთს გარეთ აღიარება სხვა იყო. საერთოდ, მამას ოჯახში არ უყვარდა საფეხბურთო ამბებზე ლაპარაკი...

— ბევრ დიდ ფეხბურთელს ძალიან სურს, რომ შვილიც მის კვალს გაჰყვეს, ბევრსაც — პირიქით. ბატონი ბორისი როგორი აზრის იყო?

— ძალიან უნდოდა, რომ ფეხბურთს გავყოლოდი, მაგრამ დაძალება არც უცდია. მე საქართველოს ნაკრებსა და ქუთაისის „ტორპედოში" მითამაშია, 1961 წელს ა კლასში რომ გადავედით, სწორედ მაშინ მივიღე მენისკის ტრავმა და კარიერა დავამთავრე. თამაში რომც გამეგრძელებინა, სად მამა და სად — მე. მამას საბჭოეთის ყველა კუთხე-კუნჭულში იცნობდნენ. როდესაც ჩემი თანაგუნდელები ლაზღანდარაობდნენ, მე თავს ვიკავებდი, რადგან ბორის პაიჭაძის შვილი ვიყავი.

— პაიჭაძის დარტყმულმა ბურთმა მაიმუნი მოკლაო, ეს ხალხის ფანტაზიის ნაყოფია თუ სინამდვილე?

— მოგონილია. მამას ძლიერი დარტყმა კი ჰქონდა, მაგრამ ამ კომპონენტში პირველი ნამდვილად არ ყოფილა — ფედოტოვი უფრო გამოირჩეოდა ძლიერი დარტყმებით.

— ფეხბურთელებთან ან მწვრთნელებთან როდესმე კონფლიქტი თუ ჰქონია?

— არა, არ იყო რთული ხასიათის კაცი. პირიქით, იგი ყველას უყვარდა, მინდორზეც და მის მიღმაც სანიმუშო მეგობრობა იცოდა. წარმოიდგინეთ, ერთი ჯარიმაც არ აუკიდებია, ისე ჩაატარა ერთ-ერთი სეზონი.

— ოჯახში თუ იყო მკაცრი?

— მკაცრს ვერ ვიტყვი, პირიქით, საოცრად თბილი და ალერსიანი კაცი იყო. უზნეობას ვერ პატიობდა ვერავის, ცუდს ვერ გამოაპარებდი, თორემ ცელქობაზე არაფერს გეტყოდა. ერთხელ ჩემს ძმას ვეჩხუბე და პატარა გამილაწუნა, თორემ მისგან ყურის აწევაც კი არ მახსენდება. ქუჩაში თუ ვიჩხუბებდი და მართალი ვიყავი, არაფერს მეტყოდა. მაშინ სხვა ცხოვრება იყო, გაკვეთილებს რომ მოვრჩებოდით, მარჯანიშვილის მოედანზე ვთამაშობდით ფეხბურთს. წარმოიდგინეთ, იმხელა ქუჩა გვქონდა დაკავებული, ახლა კი, ეზოშიც აქა-იქ აგორებენ ბურთს, მიუსხდებიან მთელი დღე კომპიუტერს და...

... თავის ავტორიტეტს მამაჩემი ბოროტად არ იყენებდა. მთელი ქვეყანა იცნობდა. აბა, მაღაზიაში რიგში ვინ ჩააყენებდა, მაგრამ თავად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა. მამა ჩემთვის სამაგალითო პიროვნება იყო.

— სასმელთან როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

— მხიარული წვეულებები უყვარდა, დალევაზეც არ ამბობდა უარს, მაგრამ ეს მხოლოდ სეზონშუა შესვენებისას. საოცარად რეჟიმიანი იყო. ყველასთან ჩახუტებული, მეგობრების, ნათესავ-ამხანაგების მოყვარე კაცი იყო და ერთად რომ შეიკრიბებოდნენ, ძალიან გვიხაროდა.

— მაღალი საზოგადოებიდან განსაკუთრებულად ვისთან მეგობრობდა?

— ბევრი იყო ასეთი. აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე ჩვენი კარის მეზობელი იყო, პლეხანოვზე ვცხოვრობდით და გალაკტიონ ტაბიძეც თითქმის ყოველდღე მხვდებოდა, თავზე ხელს გადამისვამდა და მეფერებოდა ხოლმე. პატარა ბავშვისთვის გალაკტიონის მოფერება რა იყო, ხომ ხვდებით... მამას მეგობრები იყვნენ ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, დოდო აბაშიძე...

— ლავრენტი ბერია და ფეხბურთი: „დინამოს" მისი სახით ავტორიტეტული მფარველი კი ჰყავდა, მაგრამ გუნდი ბევრჯერ დაჩაგრეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა წაართვეს. მამა როგორ იხსენებდა ამ ამბებს?

— ბერიასთვის ლატიშევისა და სხვა მსაჯების მოთოკვა რა ძნელი საქმე იყო, მაგრამ... 1936, 1939 და შემდგომ წლებშიც „დინამოს" ცხვირწინ წაართვეს ჩემპიონობა, ბერიამაც ეს ამბავი იოსებ სტალინს უთხრა, მაგრამ სტალინის სიტყვები ასეთი იყო — „რუსეთი დიდი ქვეყანაა, საქართველოსთვის მეორეობაც დიდი პატივია".

... 1953 წელს „დინამომ" მოსკოვში „ტორპედოს" მოუგო და ჩემპიონი გახდა, მაგრამ ვინ აცალა: მეორე დღეს გადაათამაშებინეს მატჩი, წააგებინეს და ჩემპიონობა „სპარტაკს" აჩუქეს. „ტორპედოს" სტადიონზე გულშემატკივრები თუ ცუდად მოიქცნენ, რა სტუმარი გუნდის ბრალი იყო?! ისე, მამა მოსკოველ ფეხბურთელებთან — ფედოტოვთან, ბობროვთან და სხვებთან მეგობრობდა.

... 1947 წელს მამამ მოსკოვში წამიყვანა, პატარა ვიყავი. ბერიამ მამა კრემლში გამოიძახა, მე კი გარეთ დამტოვეს. თვალები შუბლზე მქონდა, მაშინ კრემლში შესვლა ისეთი პატივი იყო... ბერია არა მხოლოდ ფეხბურთს, სპორტის სხვა სახეობებსაც აქცევდა ყურადღებას.



დიდი ბორის პაიჭაძე პატარებთან

— მეორე მსოფლიო ომის პერიოდში რას საქმიანობდა ბორის პაიჭაძე?

— მამა სარეზერვო ბატალიონში იყო, კაპიტნის ჩინი მისცეს და ფორმით დადიოდა. ჯარში საზოგადოების ნაღებ ნაწილს არ იძახებდნენ, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არ იქნებოდა. სტალინგრადი რომ გათავისუფლდა, იქ მამაც ჩავიდა და ერთმა სამხედრო პირმა გერმანული იარაღი „ბრაუნინგი" აჩუქა. მამა სპორტულ ფორმას სულ ინარჩუნებდა — ფეხბურთის გარდა, სპორტის სხვა სახეობებშიც ძლიერი იყო.

... 1958 წელს პირველ კურსზე ვსწავლობდი და ყამირზე წავედით სამუშაოდ. ჩრდილოეთ ყაზახეთში, ქალაქ ტროიცკში ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელმა გოგი ანდრონიკაშვილმა მითხრა, აქ ადრეც ყოფილან ქართველი ბიჭები, ფეხბურთში 2:7 წაუგიათ და ახლა შენ იცი, ბიჭები მოკრიბე, რევანში უნდა აიღოთო. ფორმები არ გვქონდა და კომიტეტში მივედი, იქ ერთი რუსი კაცი დამხვდა და მითხრა, საბუთი თუ გაქვს, ფორმებს რომ ითხოვო. მივეცი საბუთი და რამაზ ბორისის ძე პაიჭაძე რომ წაიკითხა, გადაირია — რაც საჭირო იყო, ყველაფერი მოგვცა. მოვდივარ ქუჩაში და მთელ ქალაქში რადიოგადამცემში ხმამაღლა გამუდმებით აცხადებენ, დღეს მინდორზე ბორის პაიჭაძის შვილი ითამაშებსო. ხალხი მოასკდა სტადიონს, ტევა არ იყო, ყველას ჩემი ნახვა უნდოდა. რა თქმა უნდა, მოვიგეთ.

...მოსკოვის ცედეკა საზღვარგარეთ ტურნეზე წასასვლელად ემზადებოდა 1947 წელს და ბორის პაიჭაძეც წაიყვანეს. მამა და ცედეკას მცველი დიომინი ისეთ რესტორანში შევიდნენ, სადაც მხოლოდ მაღალი რანგის ჩინოსნები სადილობდნენ. შუა სადილობისას ერთ-ერთი გენერალი გაბრაზებულა, მამაზე და დიომინზე უთქვამს, ესენი აქ რატომ არიანო. დიომინი წამომდგარა და მისთვის ასეთი პასუხი გაუცია: „გენერლები ყველამდე არიან, პაიჭაძე კი ერთიაო".

**ილია ნანობაშვილი**

# ძია ჰარი ძველ სახლში

## ითამაშებს საუთჰემპტონი რაგბი-ფუტბოლს?



კლაივ ვუდვორდს „საუთჰემპტონის" გაწვრთნა სურს

**ბრძელდება** ახალი მენეჯერის ძებნის ისტორია „პორტსმუთის" თავმჯდომარის, მილან მანდარიჩის მიერ. მისი სია იზრდება და იზრდება, თუმცა ამ სიაში გამოჩნდა კაცი, რომელმაც ყველა სხვა სახელი გადაფარა: „საუთჰემპტონის" მენეჯერი ჰარი რედნაპი.

ჰარი ის კაცია, ვინც „პორტსმუთი" პრემიერლიგაში გადმოიყვანა და მოამაგრა. ერთი წლის წინ ის კლუბში დირექტორ ველიმირ ზაიეცის მოსვლას ვერ შეეგუა და „საუთჰემპტონში" გადავიდა, ვისთან ერთადაც გავარდა კიდეც პრემიერლიგიდან.

საქმე ისაა, რომ სამანქანო მანძილი საუთჰემპტონსა და პორტსმუთს შორის სულ ოცი წუთია და მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ერთმანეთის მეტად მოძულე ხალხი, ვიდრე ამ ორი გუნდის გულშემატკივრები არიან. სამხრეთ ნაპირის დერბი ნამდვილი სიგიჟე და მტრობაა. ერთი ზღვისპირა ქალაქიდან მეორეში გადაბარგებულ რედნაპს ერთხელ საპოლიციო დაცვაც კი დასჭირდა, რადგან „საუთჰემპტონმა" „პორტსმუთთან" 1:4 წააგო.

გუშინდლამდე რედნაპს „იუდას" უწოდებდნენ, ახლა კი ამბობენ, რომ ის, „მესიაა".

მანდარიჩმა მას შემდეგ გადაწყვიტა ჰარი რედნაპთან ლაპარაკი, რაც „შეფილდ იუნაიტედის" მენეჯერმა ნილ უორნოკმა მას უარი უთხრა სამხრეთში გადასვლაზე. „საუთჰემპტონმა" „პორტსმუთს" მოლაპარაკების უფლება მისცა და ჰარიმაც მიანიშნა, რომ უარს არ იტყვის ძველ ადგილას დაბრუნებაზე.

„პორტსმუთი" თავის ძველ მენეჯერს წელიწადში მილიონ გირვანქას და ნახევარმილიონიან პრემიას სთავაზობს, თუკი გუნდი პრემიერლიგაში დარჩება.

რედნაპი ამჟამად, კვირაში 8 ათასს იღებს, ლიგაში დაქვეითების შემდეგ მას ხელფასი გაუნახევრდა. იმის მიუხედავად, რომ „საუთჰემპტონის" თავმჯდომარემ, რუპერტ ლოუმ მანდარიჩს რედნაპთან ლაპარაკის ნება არ მისცა, ორი თავმჯდომარე დღეს კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ბელფასტში, ჯორჯ ბესტის დაკრძალვაზე და მანდარიჩი იმედოვნებს, რომ საქმეს გაჩარხავს.

ამასობაში კი, ინგლისის მორაგბეთა ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, სერ კლაივ ვუდვორდმა კვლავ შეახსენა თავი საფეხბურთო საზოგადოებას. მან განაცხადა, რომ რედნაპის „საუთჰემპტონიდან" წასვლის შემთხვევაში, ამ კლუბის მენეჯერობაზე შეიტანს განცხადებას. ვუდვორდს კარგა ხანია სურს ფეხბურთში ძალის მოსინჯვა და ამბობს, ოთხ თვეში ფეხბურთის ჩამოყალიბებული მწვრთნელი ვიქნებიო. ინგლისელ მორაგბეებს სერ კლაივმა მსოფლიო თასი მოაგებინა. „საუთჰემპტონი" კი პრემიერლიგაშია დასაბრუნებელი და ძნელი სათქმელია, რომ ვუდვორდს ვინმე ენდოს.

შფოთვაა „ბოლტონშიც", სადაც შეიტყვეს, რომ „ნიუკასლის" უფროსობა სემ ალარდაისს გრემ სუნესის ადგილს სთავაზობს. ეს მითქმა-მოთქმა მას შემდეგ ამტყდარა, რაც „უიგანმა" ლიგის თასიდან გააგდო „ნიუკასლი".

**ირაკლი გამყრელიძე**

# კინი ფიქრებში

## თავი რეალმაც წამოჰყო



**„ვესტ ბრომვიჩის"** მენეჯერმა ბრაიან რობსონმა როი კინს დაურეკა და თავის გუნდში გადასვლა შესთავაზა. „მანჩესტერიდან" დათხოვნილ 34 წლის ნახევარმცველს ახლა ბევრი წინადადება აქვს, მათ შორის ნახევარწლიანი კონტრაქტი მადრიდის „რეალიდან", ღლონდაც, იანვრამდე არ ჩქარობს.

მადრიდელებმა პასუხი ერთ კვირაში მოითხოვეს, თუმც კინი ალბათ მაინც უფრო ხანგრძლივი კონტრაქტებისკენ გადაიხრება.

სიაში, მიუხედავად უარყოფისა, კვლავ არის ტურინის „იუვენტუსი". ასევე „ფიორენტინა", „ბოლტონი" და „ვესტ ჰემი".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ზარი გლაზგოდან

## ლე გუენს რეინჯერსმა დაურეკა

**პოლ ლე გუენი** მზადაა, „გლაზგო რეინჯერსი" ჩაიბაროს. მოგეხსენებათ, „ლიონის" ყოფილი მწვრთნელი ივნისიდან უმუშევარია, რამდენიმე კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ ფრანგი არ აჩქარებულა, ახლა კი შესაძლოა, „ჩაფრების" თავკაცი გახდეს.

„რეინჯერსის" თავმჯდომარე დევიდ მიურეი ალექს მაკლიშის ბედს „ინტერთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ გადაწყვეტს. მაკლიშის ხელქვეით გუნდს უკვე თვეზე მეტია, არ მოუგია.

ივ კოლემ, რომელიც „ლიონში" პოლ ლე გუენის თანაშემწე იყო, განაცხადა: „ჩვენ გლაზგოდან ზარს ველოდებით, ერთხელ უკვე ვესაუბრეთ კლუბის პატრონს და დევიდ მიურეის მალე შევხვდებით. ლე გუენმა ბევრი სხვა გაისტუმრა უარით, მაგრამ „რეინჯერსი" დიდი გუნდია და იქ მუშაობა ნაღდად სურს, თუმც ჯერ ალექს მაკლიშის ამბავი უნდა გაირკვეს".

**ვაჟა ხუციშვილი**



## იტალია

### თასის მერვედფინალი. პირველი მატჩი

**ფიორენტინა 2:2 იუვენტუსი**

1:0 ბოჟინოვი (38), 2:0 პაცინი (50), 2:1 პესოტო (63), 2:2 მუტუ (69)

**ფიორენტინა:** ფრეი, უიფალუში, დი ლორეტო, გამბერინი, პანკარო, მაჯო, პაზიენცა, მონტოლივო, იორგენსენი (პასკუალი 46), ბოჟინოვი (ბოკუ 89), პაცინი (ვრიზასი 67)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბლაზი, ტურამი, რ. კოვაჩი, პესოტო (ნედვედი 55), ბალძარეტი, ჯანიკედა (ემერსონი 55), ვიეირა, მუტუ, დელ პიერო, ზალაიეტა (იბრაჰიმოვიჩი 55)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: უიფალუში

მსაჯი: პალანკა

25 000 მაყურებელი

# ლამაზი ფრე

## ცრემლები ფლორენციაში



ფლორენციელებმა ჯანლუიჯი ბუფონს ორჯერ გაუტანეს

**„არტემიო ფრანკიზე"** ისეთი მატჩი შედგა, როგორსაც ყველა ელოდა — უხვგოლიანი, დაძაბული და სასიამოვნო საცქერი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კლუბმა შედარებით ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა და ძალები სერია A-ში, საკვირაოდ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ჯახისთვის შემოინახა, შეხვედრაზე ცუდი არავის ეთქმის.

მასპინძელთა მხარეს პირველ რიგში ლუკა ტონის არყოფნა უნდა აღვნიშნოთ, რომელიც საკვირაოდ დაასვენეს. „იუვემ" კი თითქმის მთლიანად გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა. რაც მთავარია, ამ სეზონში ოფიციალურ მატჩში „ბებერი ქალბატონის" კარს პირველად იცავდა ჯანლუიჯი ბუფონი. ტრავმამოშუშებულ გოლკიპერს ციდან ვარსკვლავები ნამდვილად არ მოუწყვეტია, მაგრამ მაინც ღირსეულად დაბრუნდა.

მატჩი თავიდანვე ორმხრივი იერიშებით დაიწყო. სტუმართაგან ჯერ ადრიან მუტუმ გაისროლა სახიფათოდ, მერე კი ბრწყინვალე შანსი მარსელო ზალაიეტას ჰქონდა, მაგრამ ხარიხას გაარტყა ბურთი. ფლორენციელთა რიგებში კი განსაკუთრებულად აქტიურობდა ახალგაზრდა თავდამსხმელთა წყვილი, პაცინი-ბოჟინოვი.

38-ე წუთზე მაჯოსა და უიფალუშის კარგი თამაში ვალერი ბოჟინოვმა დააფასა, ბულგარელმა ბუფონი უშანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმი სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როდესაც სტადიონზე, განსაკუთრებით კი ქუჩაში, მის ახლომახლო გაუსაძლისი ვითარება შეიქნა: „ფიორენტინას" ფანებს „იუვენტუსი" რომ სძულთ, ალბათ იცით და მათაც ხმაურიანი აურზაური მოაწყვეს. პოლიცია იძულებული გახდა, ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინა, ხოლო მატჩის არბიტრმა პალანკამ შეხვედრა 25 წუთით შეწყვიტა.

თამაშის განახლებისთანავე „იებმა" მეორე გოლი შეაგდეს — პაცინიმ მცირე სივრცე გამოიყენა და ბურთი კოხტად გადაგზავნა კარში. „იუვე" თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ...

53-ე წუთზე ტურინელებმა ჩინებულად გაითამაშეს კუთხური და საბოლოოდ ჯანლუკა პესოტომ საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი ფლორენციელებში გააძვრინა, ხოლო ფრეის ნახტომი დაგვიანებული გახლდათ.

ფაბიო კაპელომ მყისვე სამი ცვლილება გააკეთა და მინდორზე გუნდის ლიდერები შეუშვა, რამაც შედეგი გამოიღო, მაგრამ იღბალიც ერია ამ საქმეში: 69-ე წუთზე ადრიან მუტუმ მარცხენა ფლანგზე, ლამის აუტის ხაზთან ჩაირბინა და საჯარიმოში ჩაწოდება გადაწყვიტა, ბურთმა კი უცნაური ტრაექტორია მოხაზა, გაოგნებულ ფრეის თავზე გადააფრინდა, მარჯვენა ცხრიანთან ძელს მოხვდა და კარში ისე შევარდა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რუმინელი აწვდიდა, გოლი მართლაც უნაკლო და ძალიან ლამაზი გახლდათ.

ბოლო 20 წუთში ორივე კლუბი კვლავ შეტევებით იყო დაკავებული. უფრო მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ ალარაფერი, შეცვლილა.

„იუვეს" გაუმართლა. რა თქმა უნდა, ბრწყინვალე გუნდია, მაგრამ რომ არა, მუტუს შემთხვევითი გოლი... მიუხედავად ამისა, კმაყოფილი ვარ. ნამდვილად კარგად ვითამაშეთ" — განაცხადა „იების" თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ.

„მართლაც გაგვიმართლა მუტუს გოლისას, მაგრამ კარგადაც გავისარჯეთ. მინდა, მეტოქეც შევაქო. წაგების მიუხედავად, პირველი ტაიმიც მშვენივრად ჩავატარეთ" — თქვა ფაბიო კაპელომ.

**კოკი კანდელაკი**

# უეფას თასი 2005-2006
# ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**E ჯგუფი**

**ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 3:1 რომა (იტალია)**
0:1 ნონდა (23), 1:1 ჟიგიჩი (37), 2:1 პუროვიჩი (78), 3:1 ჟიგიჩი (85)

**ბაზელი (შვეიცარია) 4:3 ტრომსიო (ნორვეგია)**
0:1 ლ. სტრანდი (2), 1:1 პეტრიჩი (17), 1:2 ერსტი (19), 1:3 ლ. სტრანდი (29), 2:3 მ. დელგადო (61), 3:3 ჩიპერფილდი (67), 4:3 დეგენი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბაზელი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ცრვენა ზვეზდა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ტრომსიო | 4 | 1 | 0 | 3 | 7:9 | 3 |

**F ჯგუფი**

**ლევსკი (ბულგარეთი) 1:0 მარსელი (საფრანგეთი)**
1:0 იოვოვი (54)

**დინამო (რუმინეთი) 1:0 ცსკა (რუსეთი)**
1:0 ვ. მუნტიანუ (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევსკი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| მარსელი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |

**G ჯგუფი**

**რენი (საფრანგეთი) 0:1 შახტარი (უკრაინა)**
0:1 ელანო (38პ)

**რაპიდი (რუმინეთი) 1:0 პაოკ (საბერძნეთი)**
1:0 მალდარასანუ (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| შახტარი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პაოკ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| რენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

**H ჯგუფი**

**სევილია (ესპანეთი) 3:1 გიმარაეში (პორტუგალია)**
1:0, 2:0 სავიოლა (10, 27), 3:0 კორეირა (39), 3:1 ბენა (44)

**ბეშიქთაში (თურქეთი) 1:1 ზენიტი (რუსეთი)**
1:0 იბრაჰიმ აკინი (25), 1:1 ჰაგენი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბეშიქთაში | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| გიმარაეში | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

# სევილია სავიოლაა



ბაზელი — ტრომსიო. ნორვეგიელთა კარის ბადე ოთხჯერ აფართხალდა

### E ჯგუფი

„ცრვენა ზვეზდამ“ პირველი მატჩი მოიგო და ჯგუფიდან გასვლის შანსი დაიტოვა. შაბანი ნონდას გოლით „რომა“ დაწინაურდა, მაგრამ ჟიგიჩმა შესვენებამდე გაათანაბრა. ნონდამ ანგარიში კასანოს პასით გახსნა, რომელმაც შეხვედრის მიწურულს პენალტი ვერ გამოიყენა.

სტუმრებს არ ჰყავდათ ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა, რამაც მათი თამაშის ხარისხი გააუარესა. ბელგრადელებმა მეორე გოლი კუფურის შეცდომის შედეგად გაიტანეს: ჟიგიჩმა განელ მცველს ბურთი ასწაპნა და პუროვიჩს დაუგორა, მან კი ზუსტად დაჰკრა. მერე თვითონ ჟიგიჩმა იხეირა, როცა შორიდან დაარტყა და ბურთი ცხრიანში შეჭედა. 90-ე წუთზე ნონდას წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა, მაგრამ კასანომ უშნოდ შეასრულა და მეკარეს ვერ აჯობა.

უხვგოლიანი მატჩი გამოვიდა ბაზელში, სადაც „ტრომსიო“ უკვე მეორე წუთზე სტრანდის გოლით იგებდა. მასპინძლებმა პეტრიჩის წყალობით გაათანაბრეს, თუმც მალე კვლავ გაუშვეს — ერსტმა თორმეტიოდ მეტრიდან გაისროლა და სტუმრები ისევ დააწინაურა. ათი წუთის შემდეგ სხვაობა ორამდე გაიზარდა, როცა ერსტის პასით სტრანდმა იხეირა და დუბლი შეასრულა.

მეორე ტაიმი „ბაზელისა“ იყო, რაკი მასპინძლებმა თოთხმეტწუთიან მონაკვეთში სამი გოლი შეაგდეს და სამი ქულა მიითვალეს.

### F ჯგუფი

უეფას თასის მფლობელმა ცსკა-მ ულიმღამოდ ითამაშა ბუქარესტში და „დინამოსთან“ წააგო. მუნტიანუმ ძელიდან უკუგდებულ ბურთს საგოლედ დაამატა და რუმინელებმაც პირველი გამარჯვება გაიფორმეს. მოსკოველთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ვაგნერ ლავმა შეხვედრის ბოლოს გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს.

მეთექვსმეტედფინალის საგზურმოყუჩებული „მარსელი“ სოფიაში, „ლევსკისთან“ „მშვიდად“ დამარცხდა. გაყინულ მოედანზე ბურთის გორება ჭირდა, თუმც ბულგარელმა ხრისტო იოვოვმა ერთი გოლის გატანა მაინც მოახერხა. „სასიხარულოა „მარსელის“ დონის გუნდის ძლევა — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა — მათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ათამაშეს, მაგრამ ეს ფაქტი ჩვენ გამარჯვებას არ აკნინებს“.

### G ჯგუფი

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. პაოკ-ი და „რენი“ უეფას თასზე გზას ველარ გააგრძელებენ. ფრანგულმა გუნდმა მესამე მატჩიც წააგო, თან ერთი გოლიც ვერ გაიტანა. „შახტართან“ კი შეაგდო, მაგრამ ჯონ უტაკას მსაჯმა არ ჩაუთვალა. დონეცკელები პირველი ტაიმის მიწურულს პენალტით დაწინაურდნენ, რომელიც ჯულიუს აგაჰოვას წაქცევისთვის დაინიშნა და ელანომ გამოიყენა.

„ძალიან გაბრაზებული ვარ, ჩემი გუნდის უნიათობის გამო — თქვა ნამატჩევს „რენის“ მწვრთნელმა ლასლო ბოლონიმ — პირველ ტაიმში უსუსტესად ვითამაშეთ“.

ბუქარესტის „რაპიდს“ ასპროცენტიანი შედეგი აქვს — სამივე შეხვედრა მოიგო და გოლი არ გაუშვია. რუმინელებმა ამჯერად ბერძნულ პაოკ-ს აჯობეს მალდარასანუს გოლით, რომელმაც შესვენებამდე წუთით ადრე, საჯარიმო ბრწყინვალედ შეასრულა და ბურთი ზედა კუთხეში შესვა.

### H ჯგუფი

სევილიაში ხავიერ სავიოლამ გაილაღა და ჩვიდმეტწუთიან მონაკვეთში პორტუგალიურ „გიმარაეშს“ წყვილი გოლი გაუტანა, რასაც კორეირამ მესამე მიაყოლა. სტუმრებმა პირველივე ტაიმში მოახერხეს ერთის გაქვითვა, შესვენების შემდეგ კი გუნდები დაცხრნენ და მეტი აღარც გაუტანიათ.

სტამბოლში „ბეშიქთაშმა“ ამაოდ სცადა პირველი მატჩის მოგება. იბრაჰიმ აკინის გოლით „შავ-თეთრები“ იგებდნენ, მაგრამ მათი სიხარული ხუთი წუთის შემდეგ ჰაგენის საპასუხომ გაანელა. მასპინძლებმა ამის მერე „ზენიტის“ კარის ძელი რამდენჯერმე შეატოკეს, მაგრამ მეტს ვერას გამორჩნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

---




**იტალიის** ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ანტონიო კასანოს განუცხადა, რომ თუ მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა სურს, „რომასთან“ ურთიერთობა სასწრაფოდ უნდა გაარკვიოს და რეგულარულად ითამაშოს. „მე ანტონიოს ტელეფონით ვესაუბრე და ყველაფერი ავუხსენი. არ არის აუცილებელი, ყველა მატჩში 90 წუთი ითამაშოს, ამას „იუვენტუსში“ ალესანდრო დელ პიეროც კი ვერ ახერხებს. უბრალოდ, ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა არ შეიძლება“ — თქვა ლიპიმ.

**არგენტინული** და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, დიეგო არმანდო მარადონას მისი ვაჟი, უმცროსი დიეგო მარადონა სასამართლოში უჩივის. 18 წლის ფეხბურთელი მთელი ამ წლების მანძილზე მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. მას ამისკენ მამამისის რამდენიმე თვის წინ გაკეთებულმა განცხადებამ უბიძგა. „შვილის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ იგი მიყვარს. ვერც ერთი მოსამართლე ვერ მაიძულებს მის შეყვარებას. ეს წარსულის შეცდომაა, რომლის შედეგსაც დღემდე ვიმკი“ — თქვა უფროსმა მარადონამ.

**ინგლისური** „ნიუკასლის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა კლუბის ქომაგებს „უიგანთან“, ლიგის თასზე წაგებისთვის საჯაროდ მოუბოდიშა. იმ მატჩის შედეგით უკმაყოფილო „კაჭკაჭების“ ქომაგები სუნესს პოსტის დატოვებისკენაც მოუწოდებდნენ. „მარცხით თავადაც ძალიან დამწუხრებული ვარ და მრცხვენია. გულშემატკივრები მართლაც არნახულად გვიჭერდნენ მხარს და თამაშზე მოსასვლელად შორი გზა გაიარეს. ისინი ნამდვილად ბევრად მეტს იმსახურებდნენ“ — თქვა სუნესმა.

**პორტუგალიელი** ნახევარმცველი მანუელ რუი კოშტა „მილანიდან“ წასვლაზე ფიქრობს. იგი ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, რაც არ სიამოვნებს. „კლუბის გამოცვლას მართლაც არ გამოვრიცხავ. უბრალოდ, თამაში მინდა, ეს ბუნებრივია“ — მოკლედ განაცხადა 33 წლის რუი კოშტამ.

**ესპანური** „ბეტისი“ ალბათ ფლორენ სინამა-პონიოლს ინათხოვრებს. სევილიელებს თავდასხმის გაძლიერება სჭირდებათ, ხოლო 21 წლის ფრანგს სათამაშო პრაქტიკა. სინამა-პონიოლი „ლივერპულის“ შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდება. მხარეები შეთანხმების მიღწევას უახლოეს დღეებში აპირებენ, რათა სავარაუდოდ, იანვარში ტრანსფერი უპრობლემოდ შედგეს.

**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ თავკაცი ალან პერდიუ მაქსი ლოპესს ეპატიჟება. „ბარსელონას“ ახალგაზრდა თავდამსხმელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მობეზრდა და ახალ კლუბს თავადაც ეძებს. ლონდონელები 21 წლის არგენტინელის თხოვებას აპირებენ.

**გერმანულმა** „მიონხენგლადბახმა“ ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი ელბერი გუნდის მთავარ მწვრთნელ ჰორსტ კოეპელის გაკრიტიკებისთვის 10 ათასი ევროთი დააჯარიმა. „ბრწყინვალე ფორმაში ვარ და თამაში მინდა. კოეპელი კი მეუბნება, რომ ტაქტიკურ მონახაზში ვერ ვჯდები. არადა, სიმართლე ის არის, რომ მან საერთოდ არ იცის, რა ხდება მინდორზე“ — თქვა ცოტა ხნის წინ ვეტერანმა ბრაზილიელმა.

**იაპონელ** ნახევარმცველ ჰიდეტოში ნაკატას ეგებ სეზონის ბოლოს „ბოლტონის“ დატოვება მოუხდეს. „მის ბოლომდე გამოსასყიდად 4 მილიონი დოლარი დაგვჭირდება, ეს ფული კი ჯერ არ გვაქვს. საბოლოოდ ყველაფერი მომავალი სეზონის ბიუჯეტის შეჯერებისას გამოჩნდება. ჩვენი პრიორიტეტი ახალი მოთამაშეების მოძებნაა, თანაც ნაკატა ბოლო დროს ფორმიდან ამოვარდა. თავადაც იცის, რომ ადრე ბევრად უკეთ თამაშობდა“ — აღნიშნა „ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა.

**რუსეთის** ნაკრები კვლავ მთავარ მწვრთნელს ეძებს. ამ პოსტზე ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი კი დიკ ადვოკაატი ყოფილა. 58 წლის ჰოლანდიელი ამჟამად კორეის ნაკრებს უდგას სათავეში და რუსების წინადადებას თუ მიიღებს, საქმეს მხოლოდ ზაფხულიდან შეუდგება. მისი სავარაუდო ხელფასი წელიწადში 2 მილიონი დოლარია.

**ბელარუსის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა ალექსანდრ გლებმა ვარჯიში განაახლა, თუმც მწვრთნელ არსენ ვენგერის თქმით, იგი დღეს „ბოლტონთან“ მატჩში მონაწილეობას მაინც ვერ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ 24 წლის გლებმა მუხლის ტრავმა ორი თვის წინ მიიღო და მას მერე მკურნალობდა. ბელარუსი ფეხბურთელი „არსენალის“ ძირითადში სავარაუდოდ, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის მატჩში გამოჩნდება, სადაც „მეთოფეები“ ამსტერდამის „აიაქსს“ შეხვდებიან.


# იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი,
1999 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO**
2.2 ბენზინის ძრავით,
იდეალურ
მდგომარეობაში,
განბაჟებული.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 8 99 55 80 27



| XIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | : | მილანი |
| ინტერი | : | ასკოლი |
| **ხვალ** | | |
| პალერმო | : | კალიარი |
| სამპდორია | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | იუვენტუსი |
| უდინეზე | : | ლივორნო |
| ტრევიზო | : | მესინა |
| რეჯინა | : | პარმა |
| ლაციო | : | სიენა |
| ლეჩე | : | რომა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 13 | 12 | 0 | 1 | 29:7 | 36 |
| მილანი | 13 | 10 | 1 | 2 | 29:13 | 31 |
| ფიორენტინა | 13 | 9 | 2 | 2 | 28:14 | 29 |
| ინტერი | 13 | 8 | 2 | 3 | 24:11 | 26 |
| კიევო | 13 | 5 | 6 | 2 | 16:12 | 21 |
| სამპდორია | 13 | 6 | 2 | 5 | 23:19 | 20 |
| უდინეზე | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| რომა | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 19 |
| ლაციო | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | 19 |
| ლივორნო | 13 | 5 | 4 | 4 | 11:15 | 19 |
| პალერმო | 13 | 4 | 6 | 3 | 20:19 | 18 |
| ემპოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:20 | 17 |
| სიენა | 13 | 4 | 3 | 6 | 18:23 | 15 |
| ასკოლი | 13 | 2 | 7 | 4 | 13:16 | 13 |
| რეჯინა | 13 | 4 | 1 | 8 | 13:19 | 13 |
| პარმა | 13 | 3 | 3 | 7 | 13:21 | 12 |
| მესინა | 13 | 1 | 5 | 7 | 11:20 | 8 |
| კალიარი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:20 | 8 |
| ტრევიზო | 13 | 1 | 4 | 8 | 8:21 | 7 |
| ლეჩე | 13 | 2 | 1 | 10 | 9:23 | 7 |

## იტალია

*პაპუნა კედია*

# ქალაქისა და რასიზმის წინააღმდეგ და რა შუაშია აქ კლასიკოსი?




სერია მეორე — „ფიორენტინას" ქომაგები „იუვენტუსს" ასე დახვდებიან

**ამ გუნდების** დაპირისპირებას იტალიაში ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს. არა, არც „მადონინაზე" მოგახსენებთ და, არც „დერბი დე ლა იტალიაზე", საუბარი „ფიორენტინასა" და „იუვენტუსის" მატჩზეა, რომელიც არათუ ახლა, როდესაც ფლორენციელები ცხრილში მაღლა არიან, არამედ მაშინაც კი, როდესაც მეტოქეებს შორის ძალები თანაბართან მიახლოებულიც კი არ იყო, უდიდესი დაძაბულობის მიზეზი გახლდათ. და საერთოდ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ფლორენციაში „იუვენტუსი" სძულთ! ჰოდა, ხვალ სწორედ ეს უნდა მოხდეს — ტურინელებმა ფლორენციაში უნდა ითამაშონ.

ტურინელები ფონს სულ ჩაწყობით გადიანო. არც იმას მოვყვებით, რომ სიძულვილს სათავე სავარაუდოდ, 1982 წელს დაედო, როდესაც გუნდებმა ბოლო ტურის წინ ქულები თანაბარი რაოდენობით დააგროვეს, მაგრამ „ფიორენტინას" გატანილმა და არჩათვლილმა გოლმა, „იუვენტუსის" სასარგებლოდ დანიშნულ პენალტთან ერთად, სკუდეტო ტურინელებს მოაგებინა. ეს ყველაფერი ძველი ამბებია, ახალი კი ის არის, რომ „ფიორენტინა" ანუ მოფერებით და მეტსახელად „სკუადრა ვიოლა", რაც ქართუ-

ახლა ნუ დავიწყებთ იმის მოყოლას, რომ რამდენჯერაც „იუვე" ფლორენციაში ჩავა, იმდენჯერ ავტობუსი ხდება შესარემონტებელი, რადგან რენესანსის ხანის დიდ მოქანდაკეთა ქალაქში, რა, რა და, ქვასთან ურთიერთობა არ ეშლებათ. ნურც სხვა ისტორიების თხრობით გადავღლით მკითხველის ყურადღებას — მაგალითად, როგორ გადავიდა რობერტო ბაჯო „ფიორენტინადან" „იუვენტუსში", ან როგორ უჩივლა „იუვემ" საქვეყნოდ ცნობილ რეჟისორს ფრანკო ძეფირელის, რომელმაც ინტერვიუში თქვა, ეგ

ლად „იებს" ნიშნავს, მესამე ადგილზეა და ორი კვირის წინ, თვით „მილანს" მოუგო 3:1.

